იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო კურსის გეგმა (სილაბუსი)

2010-2011 სასწ. წელი

**სასწავლო კურსი-** ბეჭდური მედია

**სალექციო კურსის კოდი** - S.1..J.11

**ლექტორი** - ნელი ცქიტიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**საკონტაქტო ტელეფონი**: 899 39 35 11

E-mail: nelly.tskitishvili@gmail.com

**საკონტაქტო საათები:** ხუთშაბათი, 13-14 სთ, სოციალურ მეცნიერებათა და ფილოსოფიის კათედრა;

**კრედიტების რაოდენობა** ( ECTS ): 5 კრედიტი.

**ხანგრძლივობა:** 15 კვირა, 125 საათი. აქედან სააუდიტორიო - 30 სთ (ლექცია - 15, პრაქტიკული - 15), დამოუკიდებელი - 95. კვირაში ჩატარდება 2 სააუდიტორიო შეხვედრა.

**სალექციო კურსის სტატუსი** - სავალდებულო

კურსი ისწავლება სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის (minor) სპეციალობაზე, VI სემესტრში.

**(პრერეკვიზიტი)** - შესავალი კურსი ჟურნალისტიკაში

**სალექციო კურსის მიზანია** სტუდენტებს გააცნოს გაზეთის სტრუქტურა, გაფორმება, სარედაქციო მუშაობის სტრუქტურა, საგაზეთო ჟანრები, ინფორმაციის წყაროებთან მუშაობა, მასალის მოპოვების და მომზადების პროცესი. ძირითად ამოცანას შეადგენს მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცება პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, რაც მიღწეული იქნება საშინაო დავალებების, ტესტების, სააუდიტორიო გამოკითხვისა და წერითი სამუშაოების შედეგად.

**სასწავლო კურსის გავლის შედეგად** სტუდენტები სრულად აითვისებენ ბეჭდური მედიის სწავლების თეორიას, დაეუფლებიან პროფესიულ სტანდარტებს და გამოიმუშავებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს მომავალი საქმიანობისათვის.

## სწავლის შედეგების კრიტერიუმები:

ზოგადი

დარგობრივი

კომპეტენციები

კომპეტენციები

| | | |
|---|---|---|
| *ცოდნა და გაცნობიერება* | ესმის ბეჭდური მედიის სწავლების ძირითადი პრინციპები. | აქვს საფუძვლიანი ცოდნა ბეჭდურ მედიაში. იცის სარედაქციო და ჟურნალისტური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, გაზეთის სტრუქტურა. მაკეტი. |
| *ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი* | შეუძლია თეორიულად შესწავლილი საკითხების პრაქტიკაში გამოყენება, რაც მიღწეული იქნება დავალებებით, პრაქტიკული მეცადინეობებით. | ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია მასალების მოძიება და დამუშავება, ინფორმაციის წყაროსთან მუშაობა, ინტერვიუს, რეპორტაჟის, სტატიის და ა.შ. მომზადება, გაზეთის გაფორმება. |
| *კომუნიკაციის უნარი* | განვითარებული აქვს დამოუკიდებელი თუ ჯგუფური მუშაობის უნარი. შეუძლია სამუშაოს დაგეგმვა, აუდიტორიის ინტერესების გააზრება. | ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.<br><br>იცის აუდიტორიასთან მუშაობა |
| *დასკვნის უნარი* | შეუძლია სამუშაო პროცესში წამოჭრილი პრობლემების ადეკვატური გააზრება და მათი გადაწყვეტა. | გააჩნია ანალიზისა და შემოქმედებითი ძიების უნარი. |

## სასწავლო კურსის შინაარსი:

**I კვირა:** გაზეთი, გაზეთი მედიის სისტემაში, რედაქციის სტრუქტურა, გაზეთის დაგეგმვა.

**ლიტ-რა:** მ. მალეთი (რედაქტორ-შემდგენელი), დასახელებული წიგნი, გვ. 57-75.

ვ. ვოროშილოვი, დასახ. სახელმძღვანელო, გვ.162-169. (ლექტორის თარგმანი).

**II კვირა:** გაზეთის შინაარსი, მნიშვნელოვანი მოვლენა. ინიციატივა თემატური დავალება.

**ლიტ-რა:** მ. მალეთი (რედაქტორ-შემდგენელი), დასახელებული წიგნი, გვ. 57-62, 75-79, 84-87.

**III კვირა:** დამაჯერებლობა: როგორ მოვიპოვოთ მკითხველის ნდობა. სიზუსტე, პატიოსნება, თანაგრძნობა, საზოგადოებრივი კეთილდღეობის სადარაჯოზე დგომა. **ლიტ-რა:** მ. მალეთი (რედაქტორ-შემდგენელი), დასახელებული წიგნი, გვ. 88-101.

**IV კვირა:** დედნის მომზადება, სტილი და კორექტურა, მასალების რედაქტირება **ლიტ-რა:** მ. მალეთი (რედაქტორ-შემდგენელი), დასახელებული წიგნი, გვ. 146-150.

**V-VI კვირა:** ჟანრების ზოგადი მიმოხილვა, ინფორმაციული ჟანრები, ანალიტიკური ჟანრები, მხატვრულ-პუბლცისტური ჟანრები.

**ლიტ-რა:** ვ. ვოროშილოვი, დასახელ. სახელმძღვანელო, გვ. 215-236 (ლექტორის თარგმანი).

**VII კვირა:** სტატიის სათაური, ქვესათაურის სპეციფიკა და მისი სახეები.

**ლიტ-რა:** მ. მალეთი (რედაქტორ-შემდგენელი), დასახელებული წიგნი, გვ. 129-145.

**VIII კვირა:** რედაქტორის სვეტი, გაზეთის ძირითადი პოზიცია, სარედაქციო სტატია, სარედაქციო სვეტი.

**ლიტ-რა:** მ. მალეთი (რედაქტორ-შემდგენელი), დასახელებული წიგნი, გვ. 102-108-151-155.

**IX კვირა:** რეპორტიორის დავალება, მნიშვნელოვანი მოვლენა, ინიციატივა.

**ლიტ-რა:** მ. მალეთი (რედაქტორ-შემდგენელი), დასახელებული წიგნი, გვ. 20-25.

**X კვირა:** მასალის მომზადება, ხელობა და პროცესი.

**ლიტ-რა:** მ. მალეთი (რედაქტორ-შემდგენელი), დასახელებული წიგნი, გვ. 14-19, 26-42.

**XI კვირა:** ახალი ამბები. რა არის ახალი ამბავი, ახალი ამბების მნიშვნელობა, ახალი ამბავი როგორც ფორმა, ახალი ამბავი როგორც ჟანრი. ახალი ამბების გამომსახველობითი საშუალებები პრესაში.

**ლიტ-რა:** დ. ტალერი, დასახელებული სახელმძღვანელო, გვ. 153-157

დამხმარე სახელმძღვანელო - ჟურნალისტებისგან - ჟურნალისტებს, გვ. 13-16, 19-26, 79.

**XII კვირა:** ინფორმაციის წყაროები, მიუთითებელი წყაროები. წყაროს მოპოვება და შენარჩუნება.

**ლიტ-რა:** ლოურენს ბოპრე, სამაგიდო წიგნი ჟურნალისტებისათვის (კონსპექტი), ჟურნალისტებისგან - ჟურნალისტებს,- გვ.47-68, 71-77.

**XIII კვირა:** გაზეთის ნომრის გაფორმების კომპონენტები, მასალების განლაგების ძირითადი პრინციპები, მაკეტის შედგენა.

**ლიტ-რა:** THE DAILY SUN – დიზაინისა და სტილის სახელმძღვანელო.

**XIV კვირა:** ვიზუალური მასალები, ილუსტრაცია გაზეთში, ილუსტრაციის მინაწერი. **ლიტ-რა:** დ. ტალერი, მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელო, გვ. 141-142, 174-179

**XV კვირა:** მრავალფეროვნების გაშუქება მედიაში, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია, გენდერი, ინვალიდები, სოციალურად დაუცველი ჯგუფები, მოხუცებულები და პენსიონერები, ლტოლვილები, სექსუალური ორიენტაცია, პოლიტიკური ოპოზიცია.

**ლიტ-რა:** დ. ტალერი, დასახელებული სახელმძღვანელო, გვ. 26-30, 46-50, 62-65, 72-76, 92-96, 100-117, 130-133, 158-162;

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები:** სასწავლო კურსის სწავლების ფორმატი გულისხმობს ლექცია-სემინარებს, წერით დავალებებსა და პრეზენტაციებს.

**ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

სტუდენტთა შეფასება მოხდება **100** ბალიანი სისტემით:

**ა)** აქედან **60 ქულა** შუალედურ შეფასებებს ეკუთვნის, რომელიც ითვალისწინებს:

1) 2 შუალედური წერა წინასწარ მითითებულ რიცხვებში ჩატარდება (თითო მაქს. 15 ქ.) საწერი თემა შეირჩევა გავლილი მასალიდან და შეეხება ერთ რომელიმე საკვანძო საკითხს.

2) 4 ზეპირი გამოკითხვა (თით. 5ქ. სულ მაქს. 20ქ.)

3) 1 ზეპირი პრეზენტაცია (მაქს. 10ქ) (შეირჩევა სტუდენტის სურვილის მიხედვით), რომელიც შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

ა) თემის გასაგებად წარმოდგენა, 4ქ.

ბ) დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, 4ქ.

გ) ვიზუალური საშუალებების გამოყენება, 2ქ.

**ბ) 40 ქულა** საბოლოო გამოცდას ეკუთვნის. გამოცდა წინასწარ შერჩეულ საკითხებზე ზეპირად ჩატარდება.

**ძირითადი ლიტერატურა:**


1. მალკომ მალეთი (რედაქტორ-შემდგენელი), სამაგიდო წიგნი ჟურნალისტებისათვის (2002);
2. ვ. ვოროშილოვი, ჟურნალისტიკა (საბაზო კურსი) (2006);
3. დევიდ ტალერი, მრავალფეროვნების გაშუქების სახელმძღვანელო (2004);
4. THE DAILY SUN - დიზაინისა და სტილის სახელმძღვანელო.


**დამხმარე ლიტერატურა:**


1. სარა სილვერი, არასამთავრობო ორგანიზაციების მედიასთან ურთიერთობის სახელმძღვანელო;
2. ნოდარ ტაბიძე, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა (1988);
3. ქართული პუბლიცისტიკა (შემდგენელი და რედაქტორი დალი ჩიკვილაძე) (2007);
4. კეროლ დადისმანი, შეისწავლეთ თქვენი აუდიტორია;
5. კრის ბრაითუეითი, წარმატებული საგაზეთო რეკლამა;
6. ლუის ვოლმანი, კადრები და შემოსავლები: სახელმღვანელო წარმატებული გაზეთის შესაქმნელად;
7. კენეტ კოუბრე, ფოტოჟურნალისტიკა, პროფესიული მიდგომა;
8. ჟურნალისტებისგან - ჟურნალისტებს, ბრიტანეთის საბჭო (2007).

*მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია თესაუს ბიბლიოთეკაში, თესაუს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში (I კორპუსი, II სართული).*

*გისურვებთ წარმატებებს!*